

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2015 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ცნობა

**„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის --- სექტემბრამდე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი; ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2015 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში (matsne.gov.ge 18/08/2014; 010250020.35.112.016175) შევიდეს ცვლილება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების მეშვიდე მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 7. სამდივნო

სამდივნო აერთიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის იმ მოსამსახურეებს, რომლებიც ორგანიზაციულ - ტექნიკურ მომსახურებას უწევენ საკრებულოს თანამდებობის პირებს, აგრეთვე იმ მოსამსახურეებს, მათ შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ახორციელებენ საკრებულოს კომისიების მომსახურებას.

სამდივნო:

- ა) ახორციელებს საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების მომსახურებას;
- ბ) ორგანიზაციულად უზრუნველყოფს კომისიებისა და ფრაქციების სხდომის ოქმების შედგენას, სხდომაზე გამოთქმულ წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას, მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებას, რედაქტირებას, რეგისტრაციას და გამოქვეყნებას;
- გ) უზრუნველყოფს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე განსახილველი საკითხების გამრავლებას და დარიცხვას;
- დ) აწარმოებს საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის მოსამსახურეთა პირადი საქმეებს;
- ე) უზრუნველყოფს აპარატის მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკის წარმოებას;
- ვ) ორგანიზაციულ დახმარებას უწევს თანამდებობის პირებს დეკლარაციების დროულად წარდგენაზე;
- ზ) აპარატის დებულების შესაბამისად ასრულებს აპარატის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

თ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან შეხვედრებს, აღრიცხავს წინადადებებსა და შენიშვნებს.

ი) აწარმოებს საერთო კრების სხდომის ოქმებს.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე